განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

,,ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 29-30 სექტემბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

25 ნოემბერი 2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის დოქტორი PhDinEconomics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა Economics
ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნები ს/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება (მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისანმასწავლებლისმომ ზადებისსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - 50 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #296 11.11. 2011

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითებაერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე/შპს საქართველოს უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე/შპს კავკასიის უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ყაველაშვილი/სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე/შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო /საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე/შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი/საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #296 11.11. 2011). პროგრამა ამჟამად ხელახლა წარდგენილია აკრედიტაციაზე.

წინა აკრედიტაციის შემდგომ მოხდა შემდეგი ცვლილებები პროგრამის მუშაობის გაუმჯობესებისათვის:

- თსუ-მ შეიმუშავა 2018 წლის დეკემბერში დამტკიცა თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქცია (აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018, 27 დეკემბერი, 2018, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ). რომლის საფუძველზეც შეიცვალა სადისერტაციო საბჭოს ფორმირების წესი. კერძოდ, გაუქმდა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოები და შეიქმნა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, დამტკიცდა თსუ-ს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება და მისი ფორმირების წესი, ასევე, დამტკიცდა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა;
- თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად გადამუშავდა და დამტკიცდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დადგენილება №75/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ, დადგენილება №75/2019. 17 ივნისი, 2019). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეკონომიკა“ გათვალისწინებულია სასწავლო კომპონენტი 50 კრედიტის ოდენობით. მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი. სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი);

- პროგრამის ხელმძღვანელებს დაემატა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა;
- პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავდა და 6 შედეგის ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამ ჯგუფად კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით;
- გადამუშავდა და განახლდა პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი (მათ შორის, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა), ცალკეულ შემთხვევაში შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები და ლექტორი/ლექტორები;
- შემცირდა პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების წილი: 40-ის ნაცვლად სავალდებულო კრედიტების რაოდენობა შეადგენს 35 კრედიტს;
- გაიზარდა პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების წილი: 10-ის ნაცვლად არჩევითი კრედიტების რაოდენობა შეადგენს 15 კრედიტს;
- გაიზარდა დისერტაციის დაცვაზე დაშვებისთვის წაყენებული მოთხოვნები, კერძოდ, სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/სამეცნიერო კომიტეტი. ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს Scopus-ის ან Web of Science-ის ინდექსირებულ ბაზებში;
- შეიცვალა და განახლდა საკვლევი თემატიკა;
- პროგრამას დაემატა შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსები:
    - კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში (5 კრედიტი);
    - მიკროეკონომიკის თეორია (5 კრედიტი);
    - მაკროეკონომიკა III (5 კრედიტი).
- პროგრამას დაემატა შემდეგი არჩევითი სასწავლო კურსები:
    - არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა (10 კრედიტი)
    - ეკონომეტრიკული ანალიზი (5კრედიტი);

    - სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში (5კრედიტი)
    - აკადემიური წერა (5კრედიტი);
    - ეკონომიკური პოლიტიკა (5კრედიტი);
    - უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა (5კრედიტი);
- პროგრამით გათვალისწინებულია უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში,10 კრედიტი).
- შეიცვალა შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდება:
    - სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სახელწოდება შეიცვალა სახელწოდებით „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ (5 კრედიტი, სავალდებულო), შესაბამისად შეიცვალა და განახლა სილაბუსი;
    - სასწავლო კურსის „სემინარი“ (15 კრედიტი, სავალდებულო) სახელწოდება შეიცვალა სახელწოდებით „დარგობრივი სემინარი“, ხოლო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრა 10 კრედიტის მოცულობით, შესაბამისად შეიცვალა და განახლა სილაბუსი.
- შეიცვალა შემდეგი სასწავლო კურსების სტატუსი: სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ (5 კრედიტი) სავალდებულოს ნაცვლად გახდა არჩევითი;
- შეიცვალა შემდეგი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა: პროფესორის ასისტენტობა – 15 კრედიტის (სავალდებულო) ნაცვლად წარმოდგენილია 5 (სავალდებულო) კრედიტით.
- შეიცვალა კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა: კვლევითი კომპონენტი ორი კოლოქვიუმის (20 კრედიტი თითოეულისათვის) ნაცვლად წარმოდგენილია ორი სამეცნიერო -კვლევითი პროექტით (არაუადრეს III სემესტრისა), რომელიც არ არის კრედიტებით გამოსახული და წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- 2021 წლის 29-30 სექტემბერს აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის და ბიზნეს ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის, ეკონომიკის პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით.

- ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეკრება განხორციელდა 17 სექტემბერს 14:00.-დან 16:00 საათამდე და 27 სექტემბერს 19:00-დან 21:00 საათამდე, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით. პირველ შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტი ჯგუფის წევრებს შორის. მეორე შეხვედრაზე ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა აკრედიტაციის ვიზიტისას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- 29 და 30 სექტემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- მხოლოდ 2.6. სტანდარტია მეტწილ შესაბამისობაში, დანარჩენი სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამის საფუძველზე წარმოდგენილი პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.

რეკომენდაციები

- გამომდინარე იქედან, რომ სემინარი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დოქტორანტურაში ჩასარიცხად უცხო ენების წინაპირობის ისეთი ფორმულირება, რომ ის უკეთ შეესაბამებოდეს სასწავლო კურსების მოთხოვნებსა და შემდგომ კვლევით საქმიანობაში არსებულ რეალობას.
- სასურველია გაძლიერდეს მოწინავე პროგრამული პაკეტების შესწავლა/ დანერგვა პრაქტიკული უნარების გამომუშავების და არსებული კომპეტენციების გაფართოების თვალსაზრისით.
- სასურველია უსდ-მ იზრუნოს სადოქტორო საფეხურისთვის საჭირო ლიტერატურის თარგმანზე, როგორც ამას ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.
- იმ საგნების სილაბუსებში, რომლებიც კომპიუტერულ პროგრამებს იყენებენ, სასურველია ჩანდეს ამ პროგრამების სახელწოდება და მათი დანიშნულება კონკრეტული ამოცანების გადაჭრის პროცესში.
- სასურველია სატატიებისგამოქვეყნებებთანდაკავშორებული მოთხოვნები აღნიშნული იქნეს თავად სადოქტორო პროგრამებში.
- მიზანშეწონილია სასწავლო კომპონენტის არჩევითი კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ გაერთიანდეს სავალდებულო კურსთან „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ ან ჩანაცვლდეს დოქტორანტების მხრივ უფრო მოთხოვნადი დისციპლინებით.
- სასურველია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები.
- სასურველია უსდ-მ მოახდინოს დოქტორანტურის ხელმძღვანელთა ოპტიმალური დატვირთვის დადგენა, სადოქტორო დებულებაში და შეამციროს დოქტორანტთა რაოდენობა ხელმძღავნელებთან მიმართებაში.
- სასურველია ფაკულტეტმა შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები.
- პროგრამის მნიშვნელობიდან და მისი მომავალი განვითარების მიზნით სასურველია ეს პროგრამა არ იყოს მომგებიანი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის. იმ შემთხვევაშიც კი თუ პროგრამა გავა წაუგებლობის წერტილზე კარგი იქნება და შემუშავდება დოქტორანტების სასტიპენდიო პროგრამა ან სწავლების დაფინანსების წესი ამჟამად არსებული პარამეტრების მიხედვით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოცდილ ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგებთან ერთად ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერები, რომელიც პროგრამის მუდმივ განვითარებას და მდგრადობას უწყობს ხელს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უსდ-მ გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან მიმართებაში, სადაც გამოთქმულ მოსაზრებების ნაწილი გაიზიარა და ასევე მოგვაწოდა მტკიცებულებები ზემით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ექპერტთა ჯგუფმა არ შეტანა ცვლილებები დასკვნის პროექტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა, რომელიც აკრედიტირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით #296 11.11. 2011, წარმოდგენილია ხელახალი აკრედიტაციისთვის მასი მიზანია: მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი კადრების მომზადება, რომლებსაც აქვთ ეკონომიკის დარგსა და სწავლების სფეროში უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნა, შეუძლიათ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა, მიღებული შედეგებით წვლილის შეტანა ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში, თანამედროვე მეთოდებით სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის მიზნები ასახავს ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას, ამასთანავე მასში წარმოდგენილია თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან (https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/), რომელიც მოიცავს: ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; და სხვა.

მასში ასახულია უსდ-ს სტრატეგიული პრიორიტეტთან თანხვედრა, რომელთა შორისაა სტრატეგიული მიმართულება: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომელშიც შედის: • სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება • სამეცნიერო-კვლევების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში • სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია • სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებული იყო პროგრამის ანალიზის, კურსდამთავრებულთა კვლევისა და ეკონომიკის დარგში საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე. აქედან გამომდინარე პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამა არის მასში ჩართულ წევრების მიერ გაზიარებული, იცნობენ სიღრმისეულად და მუდმივად ზრუნავენ მისა განვითარებაზე. პროგრამის მიზნები რელევანტურია ეკონომიკის დარგში მეცნიერის და მაღალკვალიფიციური პროფესორ მასწავლებლის ჩამოსაყალიბებლად და მიღწევადია, მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მოქმედი ვარიანტი განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო განახლებული ვარიანტი განთავსდება რეაკრედიტაციის გავლის შემდეგ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/; ✓ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024); ✓ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ, დადგენილება №245/2018. 27 დეკემბერი, 2018;

- ✓ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №75/2019 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ, დადგენილება №75/2019. 17 ივნისი, 2019;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;
- ✓ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან. ის მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N69/ნ 10.04.2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად. პროგრამის შედეგებში ცალ-ცალკე გამოყოფილია ა) ცოდნა და გაცნობიერება, ბ) ბ) უნარი და გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის 8 შედეგში ლაკონურად გასაგებად არის ჩამოყალიბებული შეესაბამება სწავლების მეერვე საფეხურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ეკონომიკის დოქტორის კვალიფიკაციას. პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტებში არსებული ინფორმაციით დგინდება, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების საფუძველზე გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებითა აქტივობებით და შეფასების მეთოდებით, რომ პროგრამის შედგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს დამოუკიდებლად კვლევების განხორციელებას და პროფესიულ აკადემიურ საქმიანობაში ჩართვას. პროგრამის თვითშეფასებაში ასევე წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ნათლად ასახავს პროგრამის მინებისა და შედეგების კავშირს. პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში ჩართული იყო დაინტერსებული მხარეები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები, უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი. პროგრამაში ჩართულია საქართველოში არსებული დარგის მოწინავე სპეციალისტები და ისინი უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. შესწავლილი იქნა მსოფლიო საბაზრო ტენდენციები ეკონომიკის დარგში არსებული სპეციალისტების მიმართ.

პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტები სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი და შუალედური კველევითი პროექტები ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

პროგრამას ახლავს პროგრამის შედეგების შესაბამისობის რუკა, სწავლების შედეგების შეფასების ანალიზი, ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სწავლების შედეგების შესაფასებლად განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. ასევე წარმოდგენილია შედეგების სამიზნე ნიშნეულებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. კონკრეტულად პირდაპირი მეთოდი წარმოდგენილია სილაბუსებსა და დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტში. არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება დოქტორანტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვით. ამასთანავე დოქტორანტების და კურსდამთავრებულების სამეცნიერო აქტივობის შეფასებით, როგორიცაა ციტირებების რაოდენობა გამოქვეყნებულ სტატიაზე და ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი.

ეკონომიკის თითოეული კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს. პროგრამა აგებულია, თანმიმდევრულად. შერჩეული სწავლების/სწავლის მეთოდით შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნის და შედეგის უზრუნველყოფა და დოქტორანტისთვის ამა თუ იმ დარგობრივი და/ან ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის გამომუშავება. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები განსაზღვრული აქვს სილაბუსებში.

ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დეტალურად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ისისნი იღებენ ინტენსიურ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბოლოოდ განხილული დოკუმენტაციით, პროგრამით თვითშეფასების ანგარიშით ექსპერტთა ჯგუფის წევრების აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში განხორციელებული

ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენისსაშუალებას იძლევა. რაც იძლევა საფუძველს, რომ ვთქვათ პროგრამის სწავლის შედეგების ქვესტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ 10.04.2019 („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“); ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ; ✓ უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/; ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი; ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებსგარეთმიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათაშესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტების კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ლინკზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d2.pdf). დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან (იხ. ბმული: https://old.tsu.ge/ge/faculties/economics/study/docprogram/bey5owu0plk35ymfg/; დანართი 2) წარმოდგენილიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიიღება არა ეკონომისტიც, რომლის ფილტრაცია ხდება გასაუბრების საფუძველზე, სადაც დოქტორანტების კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევითი პროექტი, 3-4 გვერდის მოცულობით, სადაც დასაბუთებული იქნება სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები და დაგეგმილი (მისაღწევი) სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული შედეგები. ამასთანავე მას უნდა ქონდეს პროფესორის სარეკომენდაციო წერილი. გასაუბრებას ატარებს დარგობრივი კომისია. შეფასება ხდება 10 ქულიანი სისტემით, შეფასების კრიტერიუმებია განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა), მოტივაცია, კვლევითი პროექტის საბოლოო შეფასება ხდება სამივე კომპონენტის საშუალო

არითმეტიკულით. 6 და ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ეთიშება კონკურსს. აკრედიტაციის ვიზიტის პერდიოდში ექსპერტებისგან დაისვა შეკითხვები მიღების წინაპირობაში აღნიშნული ენების, ინგლისური, გერმანული ან ფრანგული და კადრების კვალიფიკაციას შესაბამისობასთან დაკავშირებით ამ ენებთან მიმართებაში, პროგრამაში ჩართული პირებისგან კი იყო უკუკავშირი, რომ ფრანგული და გერმანული ენები ძალიან ცოტა აკადემიურმა პერსონალმა იცის, სტუდენტების მხრიდანაც ნაკლებადაა მოთხოვნა. თუმცა, ეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკის ფაკულტეტმა არ დაკარგოს კავშირები, რომლებიც აქვთ და გამოზარდონ მომავალი თაობები ამ კავშირების გასაგრძელებლად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთანავე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუები გვაძლევს საფუძველს, რომ დავასკვნათ ქვესტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შედგენილია 22/07/2019 დადგენილება №100/2019 -ის თანახმად (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, დანართი 1). ასევე, პროგრამა რეგულირდება დოკუმენტებით: დადგენილება №245/2018 - დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება“, რომელშიც აგრეთვე მოცემულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. აღნიშნული წინაპირობა დარგობრივ კომისიასთან გასაუბრებაზე გასვლის გარდა გულისხმობს ინგლისური, გერმანულიან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას (რაც უნდა დადასტურდეს სერთიფიკატის წარდგენით ან გამოცდის ჩაბარებით თსუ-ის საგამოცდო ცენტრში). აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის სილაბუსებით მოთხოვნილი ლიტერატურა ძირითადად ინგლისურენოვანია, ასევე, როგორც გასაუბრების პროცესში გაირკვა, გერმანულ და ფრანგულ ენებში უკანასკნელ პერიოდში ჯგუფები არცერთ საფეხურზე აღარ შემდგარა. ამგვარად, ენების საკითხი დასაზუსტებელია ისე, რომ სტუდენტისთვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს რას სთავაზობს პროგრამა მათ, ვინც ფრანგული ან გერმანული ენები ჩააბარეს დოქტორანტურაში ჩასარიცხად.

გასაუბრებების შედეგად პროგრამის შექმნაში მონაწილეობა დაადასტურეს როგორც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ისე ხარისხის მართვის სამსახურმა, სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. სადოქტორო პროგრამის აღწერილობა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 50 კრედიტ სასწავლო კომპონენტს და კვლევით ნაწილს. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსების მოცულობა და შინაარსი (35 კრედიტის ოდენობით) შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ სწავლების საფეხურს, რასაც არჩევითი კურსების მრავალფეროვანი თემატიკაც ემატება 15 კრედიტის მოცულობით. სავალდებულო სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტები გადიან კურსს „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“, რის გათვალისწინებითაც არჩევით საგნებში 5 კრედიტიანი კურსის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ მიწოდება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

პროგრამა სტრუქტურულად გამართულია და შეესაბამება სადოქტორო საფეხურს და ეკონომიკის დოქტორის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულია და ლოგიკურია რომელსაც მოსდევს კვლევითი კომპონენტი, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და დანართებით დეტალურად არის წარმოდგენილი კვლევით ნაშრომზე მუშაობის ეტაპები, კონკრეტულად დისერტაციის წარმოდგენამდე საჭიროა 2 ჯერ დისერტაციის კვლევითი პროექტის წარდგენა და დაცვა. ამავე დოკუმენტებით გათვალისწინებულია, დაცვაზე დაშვების წინაპირობები, ნაშრომის გაფორმების და რეცენზირების წესები.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მასში წარმოდგენილია ახალი კვლევის შედეგების არამარტო შესწავლის არამედ შექმნისა და გავრცელების მექანიზმები და მოიცავს ეკონომიკის დარგის თანამედროვე მიღწევებს.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

უსდ-ს მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა და ჩატარებული ინტერვიუები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია https://www.tsu.ge/icsp/legalakad/15843 ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ; ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დოქტორანტურაში ჩასარიცხად უცხო ენების წინაპირობის ისეთი ფორმულირება, რომ ის უკეთ შეესაბამებოდეს სასწავლო კურსების მოთხოვნებსა და შემდგომ კვლევით საქმიანობაში არსებულ რეალობას. • სასურველია სასწავლო კომპონენტის არჩევითი კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ გაერთიანდეს სავალდებულო კურსთან „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ ან ჩანაცვლდეს დოქტორანტების მხრივ უფრო მოთხოვნადი დისციპლინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მთლიანობაში სასწავლო კომპონენტის კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებთან. უსდ-მ წარმოადგინა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკები.

სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია კურსებს შინაარსთან, ასევე ადექვატურია საკონტაქტო საათების რაოდენობა და შესაბამისობა სწავლა-სწავლების მეთოდებთან. შეფასებულია სასწავლო კურსის სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა სათანადო რუბრიკების გამოყენებით. პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, რომელთა საფუძველს ძირითადად სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს და დადგენილია ზღვარი სწავლის თითოეული შედეგისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გაკეთებულია სწავლების შედეგების შეფასების ანალიზი (2020 წ.) და დაგეგმილია მისი რეგულარულად გამეორება, 1 წლიანი ინტერვალით.

სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და ითვალისწინებს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს. ხშირად სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია სასწავლო კურსის ავტორის/ლექტორის წიგნები და სახელმძღვანელოები, ზოგჯერ დამხმარე მასალებში ფიგურირებს რუსული წყაროები (რაც უცხო ენების ფლობის

თვალსაზრისით დოქტორანტურაზე ჩარიცხვის წინაპირობებში გათვალისწინებული არაა) და მოძველებული ლიტერატურა (მაგალითად კურსებში - „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“, „სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, „სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში“, „ეკონომეტრიკული ანალიზი“, „არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოების ან მსგავსი სახელმძღვანელოების განახლებული ვერსიები ქართულ ენაზე არ არის გამოცემული. ხოლო დამხმარე ლიტერატურა კი წარმოდგენილია ამ საფეხურისთვის დამახასიათებელი, როგორც კლასიკური ასევე თანამდროვე წყაროებით, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში, რაც დასტურდება როგორც დარგობრივი სემინარის და კვლევითი პროექტების არსებობით, ისე საბოლოო შედეგით - სადისერტაციო ნაშრომით. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული უნარების გამომუშავების თვალსაზრისით მეტ ყურადღებას საჭიროებს კომპიუტერული/ პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების საფუძვლიანი შესწავლა და ფართო გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ნიმუშად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომებშიმონაცემთა ანალიზში გამოყენებულია პროგრამული უზრუნველყოფა MS Excel, MS Access Eviews და SPSS კარგი იქნება თუ არჩევითი, რომელიმე საგანთან ინტეგრაციით ან სტანდარტ ზემოთ მომსახურების სახით მაინც იქნება შეთავაზებული ანალიტიკური პროგრამულ პაკეტების კურსები. თუმცა აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან საუბრის დროს დადგინდა, რომ სასწავლო კურსების შესწავლისას ისინი იყენებენ ამა თუ იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც არ არის სილაბუსებში მითითებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სადოქტორო დისერტაციის ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაძლიერდეს მოწინავე პროგრამული პაკეტების შესწავლა/ დანერგვა პრაქტიკული უნარების გამომუშავების და არსებული კომპეტენციების გაფართოების თვალსაზრისით.
- სასურველია უსდ-მ იზრუნოს სადოქტორო საფეხურისთვის საჭირო ლიტერატურის თარგმანზე, როგორც ამას ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.
- იმ საგნების სილაბუსებში, რომლებიც კომპიუტერულ პროგრამებს იყენებენ, სასურველია ჩანდეს ამ პროგრამების სახელწოდება და მათი დანიშნულება კონკრეტული ამოცანების გადაჭრის პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტისათვის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ამ უნარების ფორმირებას ხელს უწყობს პროგრამის სასწავლო კომპონენტის ისეთი კურსები, როგორებიცაა: დარგობრივი სემინარი (სავალდებულო - 10 ECTS, სადოქტორო დარგობრივი სემინარის საჯარო დაცვით შესაბამის კომისიასთან), პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო - 5 ECTS, პრაქტიკულად გაწეული ასისტენტობით), კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში (სავალდებულო, 5 ECTS, კვლევითი პროექტის/რეფერატის პრეზენტაცია) და აკადემიური წერა (არჩევითი - 5 ECTS, რეცენზია სამეცნიერო ნაშრომზე, სამეცნიერო კვლევითი სტატია), ხოლო გაღრმავება/განმტკიცებას უზრუნველყოფს - 2 კვლევითი პროექტი, პროფესორის ასისტირება/სემინარების ჩატარება და უშულოდ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესი. ანუ, სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტები აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიას სამეცნიერო კვლევის პროცესში მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო პროფესორის ასისტირება დოქტორანტს სწავლების, შეფასების და კვლევითი თემების ხელმძღვანელობის გამოცდილებას და პრაქტიკული უნარებს სძენს. დოქტორანტები ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში ერაზმუს + და ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, თუმცა 2020-21 წლებში აღნიშნული აქტივობა შემცირებულია COVID-19-ის პანდემიის მიზეზების გამო. პროგრამით გათვალისწინებულია სადოქტორო თემაზე მუშაობის პროცესში დაცვამდე თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში.

დოქტორანტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან სამეცნიერო-მიზნობრივ კვლევით პროექტებში, რომლებიც ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. 2016-2021 წელს მიზნობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობდა 25 დოქტორანტი. სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სადოქტორო დისერტაციის ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია დანართი 15 - კვლევითი აქტივობები, სტუდენტები; ✓ თსუ-ს დოქტორანტის მინამალური სტანდარტი; ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები აღნიშნული იქნეს თავად სადოქტორო პროგრამებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურს და კურსის შინაარსს. გამოყენებულია (მაგრამ გამიჯნული არაა) როგორც თეორიული ცოდნის შეძენის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. თუმცა აღნიშნული არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგების მიღწევებზე. სწავლა-სწავლების მეთოდები აღწერილია პროგრამის კურიკულუმში, ასევე პროგრამის სასწავლო კურსების და სხვა კომპონენტების სილაბუსებში, მათი შერჩევა კურსის/ კომპონენტის ავტორის ან განმახორციელებლის მიერ ხდება კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით. გამოყენებული მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს: ვერბალურ, დემონსტრირების, ანალიზის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდებს, დისკუსიას, წერითი მუშაობას, პრეზენტაციას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდებს, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებას, სასწავლო და პროფესიული პრაქტიკას, ასევე ელექტრონული სწავლებას. აღნიშნული მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს

სწავლის შედეგების მიღწევას. ამჟამად პროგრამას არ ყავს ინდივიდუალური საჭიროების მქონე ან უცხოელი სტუდენტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პროგრამა მზადაა შეადგინოს ინდივიდუალური გეგმა და გამოიყენოს არსებულისგან განსხვავებული სწავლა-სწავლების მეთოდები ან აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სადოქტორო დისერტაციის ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია დანართი 15 - კვლევითი აქტივობები, სტუდენტები; ✓ თსუ-ს დოქტორანტის მინამალური სტანდარტი; ✓ თსუ აკადემიური საბჭოს №68-71/2018 დადგენილებები სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის თითოეული კურსის მსვლელობისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს-შუალედურ (ერთჯერად და მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნისან/დაუნარისან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.) სასწავლო კურსები გარდა სადოქტორო სემინარისა ფასდება მრავალჯერადად. სადოქტორო სემინარი არის სასწავლო კომპონენტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) „მუხლი 4. სტუდენტის შეფასების მეორე პუნქტის საფუძველზე: „დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით“ საფუძველზე სასწავლო კურსში სტუდენტი არ უნდა შეფასდეს ერთჯერადად. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი სადოქტორო სემინარი ფასდება ერთჯერადად დამრავალი კომპონენტით. თუმცა, ამას არ აქვს არსებითი გავლენა შედეგების მიღწევასა და მის შეფასებაზე.

შეფასება ხორციელდება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამის შესახებ სტუდენტებმა ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მათ იციან პროცედურა ნიშნის გასაჩივრების შესახებ, თუმცა არასდროს ჩაუთვლიათ, რომ უსამართლოდ ხდებოდა მათი შეფასება, პირიქით, სტუდენტებს ძალიან მოსწონთ შეფასების მეთოდები და თვლიან, რომ მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს თუ რაიმე კითხვა გაუჩნდებათ მიმართონ ლექტორს. ლექტორები ყოველთვის მზად არიან გაუწიონ კონსულტაცია საგანთან მიმართებაში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დაცვის კომისიის წევრების მიერ კონფიდენციალურად ას ქულიანი სისტემით. დოქტორანტის ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე. თუ პლაგიატის პროგრამა ადგენს მაღალ პროცენტს ანუ 20 ქულაზე მაღალს კომისია განსაზღვრავს შემდგომ შესაძლებელია არის თუ არა აღნიშნული პროცენტით დისერტაციის დამტკიცება. დისერტაციის შეფასება ხორციელდება შემდეგი სისტემით: ა) ფრიადი(summacumlaude) – შესანიშნავი ნაშრომი-შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიანკარგი(magnacumlaude) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველ მხრივ აღემატება-81-90 ქულა;

გ) კარგი(cumlaude) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება-მაქსიმალური შეფასების71-80 ქულა;

დ) საშუალო(bene) –საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს-61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) –შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს-51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) –არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო-41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) –შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. თითოეული ლექტორი თავისი სალექციო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს დოქტორანტი, ამის გათვალისწინებით არჩევს შეფასების მეთოდებს. მათ საკმაოდ კარგად აქვთ გაცნობიერებული სწავლის შედეგები, შესაბამისად ცდილობენ მოარგონ შეფასების მექანიზმები იმ სასწავლო კომპონენტების შედეგებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან. აღნიშული დაადასტურეს სტუდენტებმაც, მათთვის ძალიან მრავალფეროვანი შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსებში.

ლექტორები ახალი სასწავლო მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით ხშირად გადიან კონსულტაციებს, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე უნივერსიტეტის ხარისხის ცენტრთან.

ის, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს ლექტორების განვითარებისათვის, ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის გაცნობას, ეს კარგად ჩანს იმ დოკუმენტიდან, რომელიც გამოაგზავნა უნივერსიტეტმა, სადაც ჩამოთვლილია ტრეინინგები, რომლებიც ჩატარდა პერსონალის განვითარებისათვის.

სტუდენტს წინასწარ უნივერსიტეტის პლატფორმაზე ეტვირთებათ სილაბუსი, მათთვის წინასწარ არის ცნობილი კურსის სპეციფიკა. აღნიშნული დაადასტურეს, როგორც სტუდენტებმა ასევე ლექტორებმა.

დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სა-მეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულიაScopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS. აღსანიშნავია ეს მოცემულობა წევს დოქტორანტის პროგრამის სტანდარტს. შესაბამისად, როდესაც ექსპერტებმა დავუსვით კითხვა დამსაქმებლებს, თუ რითი გამოირჩევიან თსუ-ს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები და დოქტორანტები მათ სწორედ მათი სამეცნიერო მიღწევები დაასახელეს.

გარდა ამისა, ნაშრომს აფასებს 2 რეცენზენტი და დოქტორატმა უნდა წარადგინოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაცვა არის საჯარო, სადისერტაციო დაცვის კომისია ყალიბდება მკაცრად განსაზღვრული წესების და პროცედურების დაცვით. მასში არის არანაკლებ 7 წევრისა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც თსუ-ში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ სადოქტორო დისერტაციის ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ თსუ-ს დოქტორანტის მინამალური სტანდარტი; ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: ✓ გამომდინარე იქედან რომ სადოქტორო სემინარი არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის დოქტორანტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან სტუდენტთა მომსახურებით. ისინი საჭიროების შესაბამისად იღებენ ინფორმაციას და კონსულტაციებს სასწავლო პროცესის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელებისგან, თსუ ადმინისტრაციული ერთეულებისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ცალკეული ლექტორისგან. ყველა ინფორმაცია გამჭირვალედ არის განთავსებული ვებ-გვერდზე. თსუ-ს ყველა სტუდენტს, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებს აქვთ ვრცელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტის თსუ-ში სწავლებასა და სხვა აქტივობებთან მიმართებაში. ასევე უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული დოქტორანტურის გზამკვლევი, სადაც აღწერილია დოქტორანტურაში ჩარიცხვის სწავლებისა და ყველა იმ კომპონენტის შესახებ, რომლის გავლაც უწევს დოქტორანტს ჩარიცხვიდან პროგრამის დასრულებამდე, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, სადაც აღწერილია ჩარიცხვიდან დაცვამდე ყველა პროცედურა. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, აგრეთვე, ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს თავიანთი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გაეცნონ მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური ინფორმაცია და სხვა. აქვე ეტვირთებათ შეფასებები, ორ-სამ დღეში. სტუდენტებს არასდროს შექმნიათ პრობლემა ნიშანთან დაკავშირებით, თუმცა იციან, რომ აქვთ უფლება გასაჩივრების, იმ შემთხვევაში თუ ჩათვლიან, რომ შეფასება არასამართლიანია. სტუდენტები საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან. მათ აქვთ ინფორმაცია, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კონფერენციებთან, საგრანტო

კონკურსებთან დაკავშირებით. შეძლებისდაგვარად ცდილობენ მიიღონ მონაწილეობა. ასევე დოქტორანტებს აქვს საშუალება მოიპოვონ დაფინანსება და ამ დაფინანსების ფარგლებში გამოაქვეყნონ სტატიები მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რაც ნამდვილად დიდი ხელშეწყობა არის დოქტორანტებისათვის. სტუდენტები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საუნივერსიტეტო გამოკითხვებში. ისინი აფასებენ, როგორც ლექტორებს ისე, სასწავლო პროგრამასა და პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს. რამდენიმე სტუდენტს მონაწილეობა აქვს მიღებული შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში. კვლევით პროექტებთან და სხვა სამეცნიერო აქტივობებთან დაკავშირებით (საერთაშორისო / ადგილობრივი კონფერენცია, საერთაშორისო მაღალრეიტინგული ჟურნალები) კონსულტაციას უწევს მეცნიერ-ხელმძღვანელი, ასევე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომლები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, უზრუნველყოფს პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგის შედგენას, გამოქვეყნებასა და სტუდენტების ინფორმირებას, ინფორმაცია განთავსებულია კათედრების/დეპარტამენტების სტენდზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტებმა ასევე, დაადასტურეს ეს ინფორმაცია და აღნიშნეს, რომ თუ მათ ჭირდებათ დამატებითი კონსულტაცია ლექტორი ყოველთვის მზად არის ამისათვის. ამ შემთხვევაში დოქტორანტები ძირითადად უფრო მეტ დროს ატარებენ მეცნიერ ხელმძღვანელთან. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, რაც, როგორც დოქტორატებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, ონლაინ სწავლება ძალიან მოსახერხებელია და მათ არ უქმნით პრობლემას, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია პირიქით მათ ეზოგებათ სამგზავრო დრო. დოქტორატებმა დადებითად შეაფასეს პროგრამა, განსაკუთრებით გამოყოფენ რამდენიმე საგანს. რომელთაგან ერთ-ერთია დარგობრივი სემინარია, რომელიც მათი თქმით ფაქტიურად რეპეტიცია სადოქტოროს პრეზენტაციამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;

- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ თსუ-ს დოქტორანტის მინიმალური სტანდარტი;
- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- ✓ დოქტორანტურის გზამკვლევი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისას დოქტორანტებს ყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელიც დასტურდება აკადემიური პერსონალის მონაცემებით და მათი მიღწევებით. ასევე, დოქტორანტების შეფასებებით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. დოქტორანტები საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ მეცნიერ-ხელმძღვანელთან. მათ აქვთ გეგმა რითიც ისინი ხელმძღვანელობენ, თუმცა გარდა დაგეგმილი შეხვედრებისა მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს მიმართონ მეცნიერ-ხელმძღვანელს. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი ონლაინ რეჟიმში ძირითადად მეილით ეკონტაქტებიან ერთმანეთს, თუმცა, თუ არის აუცილებლობა მათ შეუძლიათ ონლაინ პლატფორმის საშუალებით შეხვდნენ მეცნიერ-ხელმძღვანელს. გარდა სადოქტორო ნაშრომისა, ხელმძღვანელები კონსულტაციას უწევენ დოქტორანტებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მეცნიერ-ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ საკმაოდ კარგად აქვთ გააზრებული პასუხისმგებლობა დოქტორანტის წინაშე და მაქსიმალურად ცდილობენ სტუდენტს ხელი შეუწყონ. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია კვლევა, სადაც დოქტორანტების უმეტესობა დადებითად აფასებს მეცნიერ-ხელმძღვანელთან თანამშრომლობას. დოქტორანტის ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას. თუ დოქტორანტის ხელმძღვანელი არ არისუნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მაშინ დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს კათედრის ხელმძღვანელის შუამდგომლობით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში. სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების შეტანის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო.

უსდ-ში ფუნქციონირებს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება, რომლის საფუძველზეცდადგენილია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესი, ამასთანავე ფორმდება ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტები, რომელთა ფორმებიც წარმოდგენილია შესაბამის დებულებების დანართებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამის პერსონალი დაკომპლექტებულია ძალიან გამოცდილი აკადემიური მეცნიერებით, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმეტესობა ფლობს აკადემიურ ხარისხს. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი და ემსახურება 42 აკადემიური პერსონალი რომლიდანაც 35 აფილირებულია. მათ შორისაა ერთი აკადემიკოსი/პროფესორი, რომელიც ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელია, 9 პროფესორი, 24 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია, კვლევებისა და სწავლების სათანადო გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ამასთანავე პროგრამაში ჩართულია 7 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის წესით, რომელიც იმართება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებითა და თსუ-ში არსებული რეგულაციებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა

და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ:https://www.tsu.ge/ge/juridical-/axad_council_resolutions/2014/1182014k/.

პროგრამის აკრედიტაციის დოკუმენტაციაშიწარმოდგენილია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამდასტურებელი საბუთები. ამასთანავე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მათ კომპეტენტურობას.

ეკონომიკის დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნის მქონე, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადისერტაციო კომისიაც კომპლექტდება ისეთი პირებისგან, რომლებიც მუშაობენ მსგავს თემატიკაზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოცდილ ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგებთან ერთად ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერები, რომელიც პროგრამის მუდმივ განვითარებას და მდგრადობას უწყობს ხელს.

პროგრამაზე ამჟამად ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს 64 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი.

პროგრამას ყავს ორი თანახელმძღვანელი, რომლებიც არიან დარგში მოწინავე მეცნიერები, მათ აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მითი კვალიფიკაცია დასტურდება ეკონომიკაში შესაბამისი განათლებით და სამეცნიერო ნაშრომებით;

პროგრამის ხელმძღვანელები მუდმივად ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართულები არიან პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ახდენენ სტუდენტების კონსულტირებას, გეგმავენ და ორგანიზებას უწევენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

უსდ-ში ასევე, განსაზღრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც რეგულირდება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ , თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №122/2014, 29 დეკემბერი.

თსუ-ს განსაზღვრული აქვს აფილირების წესი და გაწერილი აქვს დეტალური პირობები, რომელიც მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) მიმართ. პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. პროგრამას ემსახურება 61 ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. რადგან დოქტორანტურის სასწავლო პროცესი ძირითადად მესამე ცვლაში მიმდინარეობს და სერვისების მიწოდება მორგებულია სტუდენტის ინტერესებზე, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მუშაობას შეუსაბამონ სწავლის პროცესს. შესაბამისად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია უფროსი სპეციალისტისა და ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგს უთავსებს მათ სასწავლო ცხრილს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი სრულად შესაბამისობაშია პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების საჭიროებებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ თსუ-ს დოქტორანტის მინამალური სტანდარტი; ✓ პერსონალის CV-ები ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ✓ დოქტორანტურის გზამკვლევი; ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი

წესის შესახებ: https://www.tsu.ge/ge/juridical-/axad_council_resolutions/2014/1182014k/. ✓ ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ . თსუ-ის აკადმიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014 ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//). ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓ აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოცდილ ღვაწლმოსილ მეცნიერ-პედაგოგებთან ერთად ჩართულია ახალგაზრდა მეცნიერები, რომელიც პროგრამის მუდმივ განვითარებას და მდგრადობას უწყობს ხელს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილია პროფესიული განვითარების სერვისებით უსდ-ს მიერ. პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მათ მიერ დაგეგმილი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას უფინანსებს სამეცნიერო ნაშრომის (სტატია, სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) დაბეჭდვას, ასევე მივლინებებს და მის განვითარებისათვის მნიშვნელოვან აქტივობებში (ტრენინგი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, სამუშაო შეხვედრა და ა.შ.) მონაწილოებას, უსდ-ში ფუნქციონირებს პერსონალის შეფასების წესი, რომელიც დამტკიცებულია „უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ხდება პერსონალის მუშაობის შეფასება, მათი საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, პერსონალის განვითარების საჭიროებების დადგენა, მათი ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარების ხელშეწყობა, შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა,სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. უსდ ყოველწლიურად ხდება აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება, რომელიც რეგულირდება თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 დადგენილებებით. რომლის საფუძველზე ფაკულტეტზე მოქმედი შიდა რეგულაციით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება კათედრის ყოველი წევრის სამეცნიერო მოღვაწეობის ანგარიშის/თვითშეფასების წარდგენა, სადაც აღწერილია

სამეცნიერო პუბლიკაციები, პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა სამეცნიერო აქტივობები. არსებული მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებისა და ხელმძღვანელთა შეფარდება 2/1 აკმაყოფილებს და შეესაბამება ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვას, თუმცა ფაკულტეტის სადოქტორო დებულებით 7 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს პროფესორს. სასურველია უსდ-მ მოახდინოს ოპტიმალური დატვირთვის დადგენა, მითუფრო, რომ უსდ-ში პროფესორები უმეტესწილად ხელმძღვანელობენ, როგორც სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, ასევე მაგისტრანტებსაც". წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 43822 ლარი სამეცნიერო კვლევებზე. პროგრამის შედეგების პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის მიხედვით. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პროგრამის შემდგომი დახვეწა და განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//); ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ „უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ✓ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 დადგენილება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის შესახებ;

✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • "სასურველია უსდ-მ მოახდინოს დოქტორანტურის ხელმძღვანელთა ოპტიმალური დატვირთვის დადგენა, სადოქტორო დებულებაში და შეამციროს დოქტორანტთა რაოდენობა ხელმძღავნელებთან მიმართებაში."
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე. ფაკულტეტი განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივ

კორპუსში). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხდებოდა ფაკულტეტის სივრცეების რემონტი, განახლება და სხვადასხვა ტექნიკით აღჭურვა.

ფაკულტეტს ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის მიერ გამოყენებული, როგორც ქართული ისე უცხოურენოვანი ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია წიგნების, ელექტრონული გამოცემების და რიდერების სახით, ასევე დოქტორანტებისათვის სტუდენტებისთვის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები.როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ასევე სხვა სტუდენტებს წვდომა აქვთ მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებთან.

ფაკულტეტის სივრცეებში განთავსებულია სწავლება-სწავლებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს:

- 3 რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია 117 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, სადაც სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან;
- 4 კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანობაში აღჭურვილია 70 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, პორტაბელური კომპიუტერით, პრინტერით და 4 პროექტორით; ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ შორის:
- მაკროეკონომიკური კვლევების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით;
- ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პორტაბელური და პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
- ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
- ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულგერმანული ინსტიტუტი;
- ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;
- მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
- მიგრაციის კვლევის ცენტრი;
- მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
- სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- გლობალიზაციისა და მდგრადი განვითარების საუნივერსიტეტო სასწავლოსამეცნიერო ცენტრი;
- ტურიზმის კვლევითი ცენტრი, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით.

აკრედიტაციის ჯგუფმა გაითხოვა ფაკულტეტზე არსებული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის სია, რის საფუძველზეც დადგენდა, რომ კომპიუტერული ტექნიკა თავისი მონაცემებით მოძველებულია და მათზე გაჭირდება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავება, სადოქტორო პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე სწრაფი კომპიუტერებით რომელთა საშუალებით სტუდენტებს ექნება წვდომა სტატისტიკური პროგრამების უახლეს ვერსიებზე კვლევის პროცესში მონაცემების მნიშვნელოვანი მოცულობის ანალიზისთვის. ამისთვის კარგი იქნება, რომ განხორციელდეს 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილება რომელშიც მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენისთვის მხოლოდ 20,000 ლარია გამოყოფილი. ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის გამოყოფილია ორი აუდიტორია და ასევე სპეციალური სივრცე ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილი დოკუმენტციით და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ მე-10 კორპუსის ინვენტარიზაციის სია; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ფაკულტეტმა შეიძინოს მაღალი კონფიგურაციის კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც ექნება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკური პარამეტრები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამას 2021 წლის ბიუჯეტის მიხედვით 73 დოქტორატისგან მიღებული შემოსავლები სწავლის გადასახადიდან აღემატება ხარჯებს 53,327 ლარით აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამიდან მიღებული შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს გასაწევი ხარჯების ანაზღაურებას და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ფინანსდება სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურით, რომელიც ეკონომიკურად მიღწევადია. თუმცა პროგრამის მნიშვნელობიდან და მისი მომავალი განვითარების მიზნით სასურველია ეს პროგრამა არ იყოს მომგებიანი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის. იმ შემთხვევაშიც კი თუ პროგრამა გავა წაუგებლობის წერტილზე კარგი იქნება და შემუშავდება დოქტორანტების სასტიპენდიო პროგრამა ან სწავლების დაფინანსების წესი ამჟამად არსებული პარამეტრების მიხედვით პროგრამას შეუძლია უზრუნველყოს წელიწადში 5 სტუდენტის უფასოდ სწავლება და ეს მიმართულება შესაძლებელია იყოს ის, რომელზეც დოქტორანტების განცხადების შედარებით ცოტაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ პროგრამის მნიშვნელობიდან და მისი მომავალი განვითარების მიზნით სასურველია ეს პროგრამა არ იყოს მომგებიანი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტისთვის. იმ შემთხვევაშიც კი თუ პროგრამა გავა წაუგებლობის წერტილზე კარგი იქნება და შემუშავდება დოქტორანტების სასტიპენდიო პროგრამა ან სწავლების დაფინანსების წესი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების სისტემა ხორციელდება რეგულარულად. თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის. უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის 2018 წელს ჩატარებული შეფასების შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მომზადების პროცესში. უნივერსიტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთობლივად განხილავენ სხვადასხვა კვლევების შედეგებს, მართავენ საინფორმაციო შეხვედრებსმიიმდინარერეგულაციებთან და ზრუნავენ სხვადასხვა დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები
- ✓ განხორციელებული შიდა შეფასების ანგარიში
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამისგანვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გაზიარებულ იქნა საერთაშორისო ექტეპერტებთან, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება პარიზი - 2 პანთეონ ასას უნივერსიტეტის სამართლისა და ეკონომიკის ცენტრის ექსპერტის მიერ და ასევე, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის მიერ. პროგრამამ მოიპოვა მხარდაჭერა შესაბამისი პროფილის ექსპერტთა მხრიდან და აღნიშულ იქნა პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და თანმიმდევრული სტრუქტურა. გარდა ამისა, პროგრამას აქვს მხარდაჭერა და პოზიტიური შეფასება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის, როგორც დამსაქმებლის მხრიდან. ინტერვიუებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმების შესაბამისად, დასტურდება რეკომენდაციების ასახვა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;
- ✓ გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები/შედეგები;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან /პრაქტიკოსებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღსანიშნავია გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა დაბალი ინტერესი და პასუხების დაბალი მაჩვენებელი. ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ცვლილებების მუხედავად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. სასურველია სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა და განხორციელება გამოკითხვებში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სტუდენტთა და თანამშრომელთა მიმართულებით. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში

რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარდება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. კონკრეტულ შემთხვევაში, განხორციელდა დადარება და ბენჩმარკინგი და გაზიარებული იქნა აღნიშნული გამოცდილება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ვინაიდან პროგრამა სააკრედიტაციო რეჟიმშია, პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისათვის გათვალისწინებული იქნება რიგი ცვლილებები. ფაკულტეტმა დამატებითი კვლევები ჩაატარა COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ონლაინ სწავლების ეფექტიანობის შესახებ, მოახდინა არა მარტო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასება არამედ მოახდინა შეფასების შედარება არადისტანაციური სწავლების პერდიოდში მიღებულ შეფასებებს. კვლევებით დაადგინა, რომ სადოქტორო საფეხურზე სწავლებაზე ამ საკითხს არ ქონია მნიშვნელოვანი გავლენა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;
- ✓ გარე შეფასება და მხარდაჭერის წერილები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები/შედეგები;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მაია ბარამიძე

ნიკოლოზ ყაველაშვილი

თამთა ცხოვრებაძე

თამარ თავხელიძე